# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან. სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა. 6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.

კონტორა ღიაა 9 ს.—8 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.

კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე | კვირა. თებერვლის 15 1920 წ. № 34 | ფასი 4 მან.

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა საბჭოსა და ვაჭარ-მრეწველთა თაოსნობით და ფინ. მინისტრის თანხმობით, ქ. თბილისში არსდება

## საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი

### ცენტრობანკი

რომლის ძირითადი თანხა არის 20.000,000 მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯის დასაფარავად შემოტანილ უნდა იქნეს 50 მან., ერთი ხმის უფლებას აიჩენს 20 აქცია: ამ თავითვე შემოტანილი უნდა იქნას აქციის ნახევარი ღირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის სულ 50 მან. ესე იგი თითო აქციაზე 550 მანეთი.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა მთელს საქართველოში დანიშნულია: 17-ს სამშაბათს, 18-ს ოთხშაბათს, 19-ს, ხუთშაბათს და 20-ს პარასკევს, ამა თებერვალს 10—1 საათამდე.

თბილისში, ხამეურნეო ბანკში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან, პ. ა. გოთუასთან.

ინგლისის ფირმის „კოსმო-ლიმიტედის" კანტორაში, საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, გრიგოლ გიორგის ძე ბერიძესთან, (ბარონის ქ. № 15).

ცენტრობანკის ბინაზე, (პუშკინის ქ. № 3), საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აუხაზთან.

ქუთაისში: საურთიერთო ნდობის ბანკში, პავლე უზნაძესთან და სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ვარლამ ქილაძესთან.

ბათომში: საურთიერთო ნდობის ბანკში, ნიკოლოზ ხაბაშვილთან და მათე რუსიძესთან.

ხოხუმში: საურთიერთო ნდობის ბანკში, პლატონ გელოვანთან და ჯოტო შერვაშიძესთან.

სიღნაღში: საურთიერთო ნდობის ბანკში, კოტე ტყავაძესთან.

ფოთში, თელავში, გორში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში და ჭიათურაში ადგილობრივ საურთიერთო ბანკებში; სიღნაღის კოოპერატივთა კავშირში, კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირში და საქართველოს ყველა საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში (ამ დაწესებულებათა გამგეობებში).

აქციონერთა პირველი საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 29 ამა თებერვალს, თბილისში, ცენტრობანკის ბინაზე.

ცენტრობანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი.

თბილისი, პუშკინის ქ. № 3. (თავისუფლების მოედნის პირდაპირ) ტელეფონი № 3—46. დეპეშისათვის—თბილისი—ცენტრობანკი. 10 1—1

---

კვირას 15 თებერვალს ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო

### დავით ქრისტეფორის ძე სულხანიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა სალომე ივანეს ასული, შვილები: გიორგი, შაქრო, სოფიო, ძმები: ალექსი და მიხეილი ქრისტეფორის ძენი სულხანიშვილები და ცოლის და მარიამი დიმიტრის ასული ჩუგუნიშვილისა. წირვის დასაწყისი 9 ნახ. საათზე. 2—2843—2

---

ღრმად დამწუხრებულნი ლავრენტი ლუარსაბის ძე გრიგოლაშვილი და ასული მისი თინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი მეუღლის და მეორე საყვარელი დედის

### ოლღა გრიგოლაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზედ ქ. ქუთაისში საკუთარ ბინაზედ ივანოვის ქუჩა. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 15 თებერვალს საფიჩხიის სასაფლაოზე. 2845 2—2

---

გულდათუთქულნი: ძმა გარსევანი, დები ანნა და სოფიო, რძალი ბარბარე და ძმისწული ლოლია ზაზანაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას თებერვლის 15-ს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის თავის წირვა და ძეგლის კურთხევა დაუვიწყარ ძმის და რძლის

### ივანე პეტრეს ძის და მისი მეუღლის ეკატერინე ტიმოთეს ასულის ზაზანაშვილების

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ საფლავზე. 2839 1—1

---

მშობლები ეფემია და დეკ. გიორგი ასათიანი; დები: ნინა, თამარი, ქეთევან, რუსუდანი და ეკატერინე: ძმები: ლავრენტი, გიორგი და ლევანი; რძლები რახილი, ანნა, სიძეები: ი. ჩეკურაშვილი და შ. გრიგორაშვილი; დის წული მათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას თებერვლის 15-ს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

### შუშანიკა ასათიანის

სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში წირვა დაიწყება დილის 10 საათ. პანაშვიდი 12 საათზე. 2850 1—1

---

ქვრივი ელისაბედ პავლეს ასული ანთაძისა შვილებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, 15 თებერვალს ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ექიმ

### ალექსანდრე (ქსენია) გიორგის ძე

## ანთაძის

სულის მოსახსენებლად.

---



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")

ყოველ დღე ბლინები.

სადილი 1 საათ.—5 საათ.

დღეს კვირას 16 თებერვალს

საექსპრომტო საღამო

17 თებერვალს დიდი საღამო ბალეტი 10 საათიდან.

ანონსი. ოთხშაბათს თებერვლის 19-ს პრემიერა; მხიარული სიკვდილი და სასწავლებელი პ. ნ. ევრეინოვის. დადგმა ავტორის.

---

კვირას თებერვლის 15-ს დილის 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ყველა ფაკულტეტების

ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა არა ჩვეულებრივი

## კრება

კრებაზე მოწვეულია მთავარ-კომიტეტის წევრი ბ-ნი პეტრე სურგულაძე, რომელიც გააკეთებს მოხსენებას—საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. დასწრება სავალდებულოა. დასწრება შეუძლიათ თბილისში მყოფ ყველა ერ.-დემ. სტუდენტებს.

---

ყოველთვიური ჟურნალი

## „შვილდოსანი"

№ 1.

გრიგოლ რობაქიძე ფრანგ პოეტს.
ტიციან ტაბიძე—ღვდელი და მალარია.
პაოლო იაშვილი—ალი არსენიშვილს.
ვალერიან გაფრინდაშვილი—საფეროფლე.
კოლაუ ნადირაძე—საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან.
რაჟდენ გვეტაძე—სასაფლაო და ყვავები.
შალვა აფხაიძე—ლვთისმშობელი პროსპექტზე.
ნიკოლოზ მიწიშვილი—დეკემბრის ბგონია.
ნიკო ლორთქიფანიძე—ჩარდაში.
დია ჩიანელი—საუკუნეთა ორლობეში.
ტიციან ტაბიძე—დაისრული სებასტიანე.
ვალერიან გაფრინდაშვილი—რითმა და ასონანსი.
კოლაუ ნადირაძე—ქართული პოეზია.
შალვა აფხაიძე—ლიტერატურული პროფილები.

რედაქტორი სანდრო ცირეკიძე.

იყიდება კანტორა „განათლებაში" და კაფე „დარბაზის" წინ. ფასი 30 მან.

---

## ქართული კლუბი

სამშაბათს, თებერვლის 17-ს

## კონცერტი

ახალი ჟანრი

### დიმიტრი არზამასოვისა

მუსიკალური კითხვა სტილისტიურ სცენებით.

მონაწილეობას მიიღებენ:

ნ. ევრეინოვი წარმოსთქვამს სიტყვას „თეატრალურ ილლიუზიების პრობლემა" და „მუსიკალური გრიმასები,

პ. ილჩენკო — ვიოლინო.
ფ. როსტენ — არფა
ა. ჩერეპნინი — როიალი

დასაწყისი 9 ს.

ბილეთები ყოველ დღე იყიდება კლუბის კასაში დილის 11—3 ს. საღ. 7—8 ს. 2838 1—1

---

მიხეილის

## ალკრე

პლეხანოვის ქუჩა, 91.

მხოლოდ სამი დღით თებერვლის 13, 14, 15-ს პირველად თბილისში იდგმება მხატვრული კინო-დრამა

## კურტიზანკას ბრჭყალებში

დასასრულ კომიკური

ყოველ დღე სიმფონიური ორკესტრი. დასაწყისი 5 ნახ. ს.

---

ორშაბათიდან თებერვლის 16 იდან თეატრ

## აპოლოში

თბილისში გადაღებული მეორე სურათი საქც. საზ—ბა „ფილმა"ს კინო-ატელიეს დადგმა

## მითხარი რისთვის?

მხატვრული კინო-დრამა 5 ნაწილად.

პ. კაშევსკის, ევგ. სებარის, ანნა დავიდოვას, ე. ჩარსკაიას, ი. არბატოვის მონაწილეობით.

რეჟისორი ვ. ვ. ბარსკოი, მხატვარი ვ. ა. სიმოვი, ოპერატორი ა. დ. დიგმელოვი.

---

## ქართული კლუბი

კვირას, 15 თებერვალს, 1920 წ. დანიშნულია

კლუბის წევრთა

## წლიური საზოგადო კრება

კრების საგანია:

1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) კლუბთან არსებულ კოოპერატივის და საურთიერთო დახმარების კასსის დებულებათა და ინსტრუქციების დამტკიცება.
5) კლუბის სახელობის სტიპენდიების დებულების დამტკიცება.
6) გამგეობის და მათი კანდიდატების არჩევნები.
7) სარევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების არჩევნები.
8) კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.
9) შიმდინარე საკითხები.

კრება კლუბის წესდების 31 მუხ. ძალით კანონიერად ჩაითვლება რა მცირე წევრთა რიცხვიც უნდა გამოცხადდეს, როგორც მეორედ დანიშნული. 5 3—2

---

## არტისტიულ საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, თებერვლის 18-ს

მსახიობთა შეერთებულ ძალებით წარმოდგენილი იქნება

ა. სუმბათაშვილის პიესა

## ღალატი

5 მოქმედებად.

ქ. ქ. ნინო ჩხეიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ო. ლეჟავა, ვ. ანჯაფარიძე, ე. ციმაკურიძე; ბ. ბ. ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, მ. ქიაურელი, ამაშუკელი, შანშიაშვილი და სხვ.

რეჟისორი ვ. გუნია. ადმინისტრ. ა. გაჩეჩილაძე.

დასაწყისი 8 ს. 2853 2—1

---

კინემო

მინიონი



ახალი მხატვრული დადგმა!!!

იშვიათი ანსამბლი ორი ლამაზი ვარსკვლავი ეკრანის

მონაწილეობას მიიღებენ:

ელენე ლეონიდოვისა

და ევა დორრინგტონი

თებერვლის 15, 16, 17 და 18-ს

## გამოცდა

(ვნება და გიჟიერება)

პსიხოლოგიური კინო-დრამა ხუთ ნაწილად.

ელენე ლეონიდოვისა შეასრულებს ცეკვას „შიშველი"-ს.

ამ სურათზე მოწაფეებს და ბავშვებს არ დაუშვებენ. 2832 1—1

---

საზ—ბანი

## „კავკასი და მერკური"

და „ალმოსავლეთი"

მიიღება საქონლის დაზღვევა და გადაზიდვა. მიიღება აგრეთვე შესანახად და დასაზღვევად საქონელი. შესრულება ყოველგვარ კომისიური დავალებების. საქონლის გაგზავნა ყველა გემებზე, რომელნიც გადიან კასპიის ზღვიდან სპარსეთში, შავი ზღვიდან—სამღვარ-გარედ და სხვა ქვეყნებში.

მთავარი წარმომადგენელნი დიდი ბრიტანეთის საზოგადოება გემის „კუნარდ" „Cunard" Steam shif Co Limited მიიღება ტვირთების გაგზავნა კონსტანტინოპოლში, ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერში, ანტვერპენში, შეერთებულ შტატებში ნიუიორკში, ბოსტონში, ფილადელფიაში და კანადაში. თებერვალში და მარტში მოვლით ბათუმში ოკეანის გემებს: „კვინსლენდ", „სახარა" და „ინდიანოლა". ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, საზოგადოების კონტორაში ერევნის მოედ. ტელ. 6-83. 2851 3—1

## დღეს კინემატოგრაფებში


აპოლო

სალამო სიცილისა და იუმორის! კიდევ ორი დღით თებერვლის 14 და 15-ს ყველასთვის საყვარელი მაქს ლინდერი—ცოცხალია. და ისევ ეკრანზეა ახლახან მიღებულ კომიკურ პიესაში

**დალაქი მაქსი** ორიგინალური მხატვრული დადგმა **ორი მზე**

ამერიკული კინო-პიესა 3 ნაწილ.

ნათამაშევი ეკრანის ხელოვნების მსახიობთაგან. უმთავრეს როლში ნაზიერი მარი, რომ ელმაც მთელი საზოგადოება მოხიბლა ფილმში „სიცილი და ცრემლები“.

მუსიკალური ილუსტრაცია ი. ნ. ხუდიაკოვისა.

ფენიქსი კინო-თეატრი

სახელოვანი მსოფლიო დადგმა

პირველი გრანდიოზული კინო-რომანი. ახლახან მიღებული ახალი ეგზემპლიარი

**„ვამპირები“** ფეიდიმერის ნაწარმოებით

ნაპერგოვსკის, მორსედ ლევეკის (მუსიდორა) და სხ.

სახელოვან მსახიობთა მონაწილეობით

**დღეს:** სერიები 1 (თავი) და 2, (ბოროტების ყვავილები) 6 ნაწილად.

2854—1—1

კინო პალასი

დღეს უკანასკნელათ გრანდიოზულ და არ-ნახულის დადგმის დასაწყისი 1, 2, 3 ეპიზოდი (ძერა და მტრედი, ვეფხვის თვალი და იჭვით ნოზა) პირველი ახლად მიღებულ ცნობილ ამერიკულ ფილმებიდან:

გრანდიოზული კინო-დრამა

**მძულვარების სახლი**

12 ეპიზოდი (24 ნაწილად)

ცნობილ კინო-არტისტების

**უაიტისა და ანტონიო მორენოს** მონაწილეობით

ა ნ თ ნ ს ი. ხვალ გაგრძელება ეპიზოდები: 4, 5, 6.

**დავით კლდიაშვილის იუბილე**

ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით კვირას, თებერვლის 15-ს სახელმწიფო თეატრში მხცოვან ბელეტრისტის 30 წლის საწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის იუბილე იმართება. ზეიმის პროგრამა საბოლოოდ ასეა შემუშავებული:

1) ივ. გომართელის მოხსენება იუბილიარის შემოქმედების შესახებ.
2) მილოცვები
3) „დარისპანის გასაჭირი“ 1 მოქ. იუბილიარისა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ქართველი მსახიობნი. 7 0—6



ცირკი „პრისტენს“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5-62.

ორშ., თებერვლის 15 ს 1920 წ.

**სადღესასწაულო წარმოდგენა**

სახელგანთქმულ ა. მატოვის მონაწილეობით. ამ სალამოში გამოვა კიდევ თბილისელი კინტო

გ. მესტიევი. საერთაშორისო ფალავნების ფრანგული ჭიდაობის გაგრძელება. პრემია 30,000 მან. ჭიდაობენ ორი გამოჩენილი ძალა: გადამწყვეტი ჭიდაობა —შედეგამდის- გ. ერმაკოვი—გენჯი ალი, ალ. კოლიშევიჩ—სერ. ხანდაროვი, ნეიზვესტნი—ოლენიკოვი.

წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახ. ს. ჭიდაობის 10 ნახ. ს.

გამგე. იურიევი. არბიტრი: ვ. ვიატკოვსკი.


## დღეს:

დეშანელის მოადგილედ რაულ პერე აირჩიეს.

ერთა ლიგის აღმასრულებელმა საბჭომ შვეიცარიის შეერთება მიიღო.

უნგრეთის მთავრობა უნგრეთის გაყოფის წინააღმდეგა.

—

**წ ე რ ი ლ ე ბ ი:**

მეთაური—ბოლშევიზმის წინ.

მეთამბაქოეთა ყრილობა.

დავით კლდიაშვილის იუბილე.

ვაჭრობა მრეწველობა.

## ბოლშევიზმის წინ

ბოლშევიზმი მსოფლიო საფრთხის ოდნობამდე გაიზარდა დამარცხებული, და ევროპა-ამერიკიდან გამოდევნილი იგი აზიის ქვეყნებს მოედვა. ეს ქვეყნები სუსტი საზოგადოებრივი შეგნების ქვეყნებია და მათი სახელმწიფოებრივი შემეცნება და ორგანიზაცია მეტად პრიმიტიულია. აქ ცხოვრება დაშლილია უფრო, ვიდრე დაწესრიგებული. ამავე დროს ეს ქვეყნები ნაციონალურ მონობაში იმყოფებიან. ყოველივე ამან შექმნა მეტად ნოყიერი ნიადაგი ბოლშევიზმისთვის და მას გზისპირა ქარი დაუყენა. ბოლშევიზმის საბრძანებელში უკვე შემოსულია თურანი. ტაშკენტში დახსნილია მრავალი საპროპაგანდო სკოლა, სადაც ამზადებენ ლენინის მოციქულებს, განსაკუთრებით ჩინეთ - ინდოეთისთვის. ავღანის ქებული ცხენოსნები მრავლად მოიპოვებიან თურანში რომ მოქმედობს იმ ბოლშევიკების ჯარში.

ამას წინად პოლიტიკური ნადიმი გაიმართა ხივაში, რომელსაც დაესწრნენ ლენინის ემისრები და სპარსეთ-ავღანის ოფიციალი წარმომადგენლები. მასპინძელმა, ემირის წარმომადგენელმა, დალოცა სამი სტუმარი და მათ უკურთხა გეგმა და მოქმედება. ბოლშევიზმი ჩადგა ბატონად იმიერ-კასპიის მხარეშიდაც, სადაც თავს უყრიან მეომარ ძალებს. ასხაბადში დგას მოზრდილი ცხენოსანთა ჯარი. თანდათან გაიმართა ჩინეთ-ინდოეთ-ავღანზე შესატევი სტრატეგიული ფრონტი. ლენინის იმედი ამ ქვეყნებში კოცონის დანთებაზეა დამყარებული და ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქ საუკეთესო და ნაცად ჯარებს მოუყარეს თავი და ხელმძღვანელებად მას მისცეს ძველი, გამოცდილი ოფიცრები. ევროპასა და ამერიკაში დამარცხებული ლენინი აზიის აფეთქებით ცდილობს გამარჯვებულთა დამარცხებას. ლენინმა მიაგნო მტკივნეულ ადგილს. მან თავის ოჯახში, დაუმარცხებელი ევროპა, მას სურს აზიაში დაასამარხოს. მარტივი აზრია და კიდევ უფრო მარტივია ამ მიზნისთვის მოქმედება.

ევროპა დალოვლათიანდა სხვისი მიწა-წყლით. მისი ინდუსტრია და ტეხნიკა, რომელსაც ინგლისი ანპიროიებს, აზიამ შვა. ევროპის მუცელში აზიის მილით მიდის სასმელ-საჭმელი. ევროპის მკვებავი ნერვი აზიიდან გამოდის. ლენინს სურს აზიის ანარქიასა და ატალღებაში დალეწოს ეს მილი, გადაჭრას ეს ნერვი...

ნედლი მასალის რუსეთიდან ამოსაქაჩავად, ანტანტმა რუსეთს ბლოკადაც კი მოხსნა. მოქალაქე სტეკლოვი ამ თვალთმაქცობას მიუხვდა. ხოლო ლენინი, არამც თუ რუსეთის ნედლ მასალას ართმევს ევროპას, არამედ თხზავს ჯოჯოხეთურ გეგმას, რომ მთელი აზიის კონტინენტის ნედლი მასალა მას პირიდან გამოაცალოს, ამ კონტინენტზე არევ-დარევის ქარიშხალის გამოწვევით. ლენინს სწადია ევროპა თავის ამარა დასტოვოს და მაშინ ევროპაში უზრუნველყოფილია ანარქია და ბოლშევიზმი. ევროპის შემდეგ შხამის ზელი ამერიკის კონტინენტსაც გადააწვება. ლენინის ვარაუდი და გეგმა არ არის მოკლებული შესაძლოების ელემენტს. ლენინი წარმოგზავნილი ანტიქრისტეა კულტურისა და სოციალური პროგრესისათვის; ამ საფრთხეს გრძნობს ევროპა. ყველაზედ უფრო კი ის, ვინც ევროპაში ყველაზედ უფროა დაინტერესებული აზიის სიწყნარით, აზიის ბედით.

ესაა ინგლისი.

და მართლაც ინგლისის პრესსა, რომელიც მუდამ სერიოზულია და გონება-დამჯდარი, დღეს კიდევ მეტის სერიოზულობით და სიფრთხილით უახლოვდება ამ პრობლემას, იგი ერთობ ჩაძირულია სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და უტყუარ იარაღს დაეძებს, რომ ინგლისის ზელადობით კულტურა გამარჯვებული გამოვიდეს იმ საშინელ დუელიდან, რომელშიაც ანარქია და წესიერება ერთმანეთს შეებმება; ომში წაგებას ინგლისი არაა ჩვეული და უნდა რომ ეს ტრადიცია შეინარჩუნოს. შეიძლება ითქვას რომ არც ერთი იმ ომის წაგება, რომელიც, თვისი ისტორიის სიგრძეზედ ინგლისს ჰქონია და გამარჯვებით დაუმთავრებია, ვერ შეედრება, თავის შედეგის კატასტროფიულის თვისებით, ამ ომის წაგებას.

პრესსასთან ერთად ფხიზლობენ და მოქმედობენ ინგლისის სახელმწიფო კაცები და პასუხისმგებელნი წრეები. ინგლისის სამხედრო და საზღვაო მინისტრები ამ ერთი თვის წინედ პარიზში ჩავიდნენ, რომ საფრანგეთთან ერთად მოეხაზათ მსოფლიო ანტიბოლშევიკური ომის გეგმა.

შეიარაღებული ანარქია და უწესოება გზას იკაფავს, ფარგალს იფართოვებს და ხალხებს იმხრობს. მას უნდა შეეგებოს კულტურა და წესიერება, აგრეთვე იარაღით ხელში. ბოლშევიზმი რუსეთის საზღვრებში არ ეტევა, იგი ბრძოლით და პროპაგანდით სხვა ქვეყნებში იჭრება. თავდამსხმელი უნდა დამარცხდეს; ანარქიისა და უწესოების მებრძოლი სული უნდა ჩაჰქრეს... ამ აქტიურ თავდაცვას მოითხოვს ინგლისის პრესსა. ინგლისის მთავრობა უკვე ახორციელებს მას;

მაშინ როდესაც საფრანგეთი ჯერ კიდევ „ფიქრობს და ლონისძიებას ითვალისწინებს“, ინგლისი სიფიცხით მოქმედობს.—ეს გასაგებია; თუ ინგლისის სამხედრო ორგანიზაციასა და ძალთა დარაზმვას ბოლშევიზმის მხრივმა ჰიამ ჩაუსწრო მესოპოტამიასა, სპარსეთსა, ავღანსა და ინდოეთში, ინგლისი დიდს განსაცდელში ჩავარდება.

აზიის ამ ვეებერთელა უნუგეშო სივრცეზედ და მის შავ სანახაობაზედ წესიერების და კულტურის კუნძულად მარტო საქართველო მოსჩანს, როგორც მართლაც და სახელმწიფოებრივად შემტკიცებული ორგანიზმს შეუძლებელია დაინტერესებულმა ინგლისმა და ევროპამ თვისი უძილო თვალები მასზედ არ დაასვენოს. ინგლის-საფრანგეთის პრესსა ამას აშკარად გვეუბნება. შეუძლებელია საქართველომაც ვერ დაინახოს ინტერესთა ზოგადობა. მართლაც ბოლშევიზმის საფრთხე მას უშუალოთ გარს შემოადგა. ჩრდილოეთით ბოლშევიზმი მოსაზღვრეთ გაგვიხდა. იმიერ-კასპია ბოლშევიზმის ხელშია გადასული და მალე შეიძლება კასპიის ზღვა მის ხელში გადავიდეს.

ბაქოში ბევრია ბოლშევიკური ელემენტი და ერთი შეტოტმანება საკმარისია, რომ პანბოლშევიზმი და პანთურანიზმი ერთი-მეორეს ჩაეხუტოს. ბოლშევიზმის ტალღის გადმოსხმა ამიერ-კავკასიაზე — საქართველოს ალგვაა სახელმწიფოებრივად. ამ დუელში თუ ბოლშევიზმის გამარჯვება ევროპას საბოლოო შედეგად ეკონომიურ დაძაბუნებას მოუტანს, საქართვ. სულ მთლიანად და სამუდამოთ სახელმწიფოებრივ სახელს წარუხოცს. ამიტომ იარაღით საქართველო უნდა შეირაღდეს თავით ფეხამდის თავდაცვის საწარმოებლად და შინაური ორგანიზაცია სათანადო სიმტკიცემდე აიყვანოს. ამგვარად ბოლშევიზმის წინ ევროპის კულტურული მისია და საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა ერთდებიან. პირველი მეორეს ამაგრებს და მეორე პირველს განამტკიცებს. ბოლშევიზმის საფრთხის საპასუხოდ ჩვენი პოლიტიკა უნდა შეეწყოს ევროპა-საქართველოს ინტერესთა ზოგადობის შეგნებას და ამ ინტერესთა ერთობაში ამოკრიფოს თავდაცვის ყველა საჭირო მასალა.

## მეთამბაქოეთა ყრილობა

დღეს უნდა გაიხსნას თბილისში მეთამბაქოეთა ყრილობა. საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოელიან თამბაქოს მწარმოებელთა და ამ დარგთან დაკავშირებულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს. ყრილობის ჯეროვანად მოწყობას მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი შეხვდა. ამის გამო შესაძლოა ის არ იყოს ისეთი მრავალრიცხოვანი და სრული, როგორც ეს შეეფერება ამ მრეწველობის მნიშვნელობას. ყოველს შემთხვევაში ეს ყრილობა დიდათ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

მეთამბაქოება საქართველოში უდიდეს კრიზისს განიცდის. ყოვლად შეუწყნარებელი ეკონომიური პოლიტიკის გამო მეთამბაქოებას დიდი საფრთხე მოელის. თუ მმართველმა წრეებმა დროზე არ შესცვალეს თავისი გეგმა, მეთამბაქოობა საქართველოში განადგურდება. ყრილობაზე შეკრებილნი მწარმოებელნი უტყუარ სურათს წარუდგენენ საზოგადოებას და მმართველ წრეებს სახალხო მეურნეობის ამ დარგის შესახებ. მმართველ წრეებს არ შეუძლიან ანგარიში არ გაუწიონ მეთამბაქოეთა სამართლიან ხმას!

როგორც მეთამბაქოეებმა, აგრეთვე მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენლებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს თავის საქმის წინაშე, რომ აქამდე ვერ შეკავშირდნენ და ვერ შექმნეს ძალთა გამაერთიანებელი პასუხისმგებელი ორგანოები. რომ ჩვენი მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მწარმოებელნი შეკავშირებული ყოფილიყვნენ და შეერთებული ძალებით ემოქმედნათ, უთუოდ ადგილი არ ექნებოდა მრავალ მოვლენას, რომელიც დღეს ასე აზიანებს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებას. ჩვენი მწარმოებელნი დაქსაქსულნი და განცალკევებულნი გამოდიოდენ მთავრობის წინაშე. ხშირად ერთმანეთის საზიანო და საქმისთვის საზარალო ნაბიჯებსაც კი გადადგამდენ. მათ არავინ უწევდა ანგარიშს, ვინაიდან ისინი [illegible] და უძლურნი. ასეთს ვითარებაში ჩვენი მეურნეობის შესახებ ნათელ წარმოდგენასაც ვერ იმუშავებდა მთავრობა. ამ მხრივ დიდათ გასაკვირველიც აღარ არის, რომ ეკონომიურ საქმიანობაში გამოუცდელი მთავრობა სათანადო ყურადღებას რომ ვერ აქცევს ჩვენს მეურნეობას და ხშირად დიდს შეცდომებსაც უშვებს.

სოციალისტური პოლიტიკის სიმწვავე მალე იგრძნო ჩვენმა სოფლის და ქალაქის მწარმოებლებმა. ეხლა უკვე იწყება მათი შეკავშირება. მეღვინემევენახეთა, მესაქონლეთა, ეხლა მეთამბაქოეთა ყრილობები ამის უტყუარი საბუთია. მადლი განგებას! დაგვიანებულია მაგრამ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეიძლება. ჯერ კიდევ ბევრია გადასარჩენი იმ საფრთხიდან, რომელსაც უმზადებს ჩვენს ქვეყანას მისი მმართველების გამოუცდელობა, უცოდინარობა და ცხოვრების ცალმხრივი გაშუქება.

ასეთი ყრილობების მოწვევა დღევანდელს პირობებში ადვილი არ არის. პირველი ყრილობები, რასაკვირველია ვერ იქნებიან, ამ დარგთა სრული წარმომადგენლობა. მხოლოდ ამ პირველ ყრილობებზე არჩეული მუდმივი ორგანოები თუ მოახერხებენ მომავალი კრებების მოწყობას ერთ-ფეროვან წარმომადგენლობით წესზე. ეს პირველი ყრილობები იქნებიან დამწყები ამ დიდი შეკავშირებისა. სრული ორგანიზაცია და შეერთება ჯერ კიდევ წინ არის.

მაგრამ ეს ყრილობა საკმაოდ სრული იქნება იმისთვის, რომ ჩვენი მეთამბაქოობის დღევანდელი მდგომარეობა სავსებით დაგვისურათოს. რა შედეგები გამოიწვია ჩვენმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, საზოგადოთ, და მონოპოლიამ კერძოთ ამ დარგში, როგორი შედეგები არის კიდევ მოსალოდნელი მომავალში, როგორი უნდა იყოს პოლიტიკა მთავრობის, რომ ეს უდიდესი მრეწველობა არ დაგვექცეს, და არ შეგვიმცირდეს, აი ის კითხვები რომელნიც სავსებით უნდა გამოარკვიოს მეთამბაქოეთა ყრილობამ. ამის შემდგომ ყრილობა შექმნის მუდმივ ორგანოს, რომელიც დარაჯად დაუდგება მეთამბაქოეთა საერთო საჭიროებებს და სიტყვით, თუ საქმით დაიცავს მას.

უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას მეთამბაქოეთა პირველს ყრილობას.

# დავით კლდიაშვილის იუბილე



### დავით კლდიაშვილი

(ოქტორტი)

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის მაჭრებით,
მე ვუცქერ პოსტნებს, ვიწრო შარებს, შეშის ბოგირებს,
აგერ ირინე მეწვრილმანეს აცდენს ვაჭრობით,
მღვდელი ზოსიმე დამშეულ ჯორს მიაბოგინებს...

თავლა და კალო, გალესილი ჩქარი ნამგალი,
ლობეში ლორი ულლიანი ღრიალებს მწარეთ;
და სოლომონი, გაკრეცილი ხნე მაჭანკალი,
ჭიშკართან ყვირის: „მასპინძელო, გამოდი გარეთ“!..

პავლე იაშვილი

## დავ. კლდიაშვილის ბიოგრაფია

დავ. კლდიაშვილი დაიბადა ს. სიმონეთში 1 იანვარს 1863 წ. დავითის მამა, სამსონი, იმ დროინდელ აზნაურთა შორის მოწინავე პირად ითვლებოდა. ბავშობა მწერალმა თავის სოფლის გლეხებში გაატარა. უკანასკნელნი იგონებენ მას, როგორც მეტად ცელქს და დაუდეგარს ბავშობაში. თუ სადმე სოფელში ნახავდენ, რომ საბუდარში დედალი თავ წაგლეჯილი იჯდა კვერცხებზე, იცოდენ, რომ ეს დავითის ოინი იყო. გლეხების განსაკუთრებულ სიყვარულში გაატარა პატარა დავითმა თავისი ყრმობა. როცა მომავალი მწერალი 9 წლის შეიქნა, სხვა აზნაურ ბავშვებთან ის გაიგზავნა კიევის გიმნაზიაში. დავითი დიდი სიყვარულით იგონებს გიმნაზიაში გატარებულ დროს. მას მალე მიავიწყდა თავისი სამშობლო, ოჯახი და ენაც. როცა რამდენიმე წლის შემდეგ პირველად დაბრუნდა სამშობლოში, მან უკვე აღარ იცოდა ქართული. დედის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან შვილი და დედა ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდენ. ერთხანს მოწყენით დადიოდა გადარუსებული დავითი თავის საყვარელ სოფელში. გლეხები მას უცხოსავით უყურებდენ. დავითის დედამ გადაწყვიტა შვილი რუსეთში აღარ გაეშვა, მაგრამ დავითი ისევ გაისტუმრეს რუსეთში. დედამ თან გაატანა მრავალი ქართული წიგნები, რომ ვაჟს ისევ მოეგონებინა მშობლიური ენა. რუსეთში დაბრუნებისას ის მართლაც შეუდგა სამშობლო ენის შესწავლას და ამ საქმეში დიდი მეგობრობა გაუწია მას მწერალმა ნიკო ლომაურმა.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ დავითი გადავიდა მოსკოვის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. ამ ხანებში ის კიდევ ესტუმრა თავის სამშობლოს უკვე ქართულის კარგათ მცოდნე. სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ დავითი დაინიშნა აფიცრად ბათუმის მეციხოვნე ბატალიონში, სადაც მსახურებდა 1908 წლამდე.

ჩამოსვლისას ის ვარჯიშობდა და თარგმნიდა პატარა მოთხრობებს გერმანულიდან და ფრანგულიდან. მისი პატარა თარგმანი დაიბეჭდა 1883 წ. სამსონიძის ფსევდონიმით.

1896 წ. ძან დუელში გამოიწვია ბათუმის გაზ. „ჩერნომ. ვესტნ.“-ის რედაქტორი პალმი, რომელმაც ცილისწამებითი წერილი მოათავსა გაბრიელ ეპისკოპოსზე.

დავითს მთავრობა სდევნიდა და ასეთ დევნის ეპიზოდებით სავსეა მისი ცხოვრება. უმჯობესია აქ ადგილი დაუთმოთ თვით ავტორს: უკანასკნელ ავტობიოგრაფიაში ის ამბობს:

„1902 წ., როცა ბათუმში პირველი შეტაკება მოხდა მუშებსა და ჯარს შორის, ბედმა გადამარჩინა და ჩემს როტას, რომლითაც გაწვეული ვიყავი წინა სალამოს, ასცდა ხალხის წინააღმდეგ მოქმედება. ეს დღე კი საშინელი დღე იყო. იმ შედავებაში, რომლიც მოუხდა მეორე როტას, მუშების მხრივ ცხრამეტი მოკლულ იქმნა და ოცდაოთხი მძიმედ დაიჭრა. საზარელი სანახავი იყო ქ. ჩა, სადაც ამდენი ხალხი ეყარა გუბერნატორის წყალობით, რომელიც იქვე მყოფი გაიძახდა მხოლოდ: „По меньше кровопролитія“,—იმის მაგიერ, რომ აეკრძალა სროლა უიარაღო ხალხისათვის. ამ საზარელ ამბის შემდეგ უფროსმა მიბრძანა, რომ ჩემი როტა სიმღერით წამეყვანა ყაზარმაში. მე უარი ვუთხარი.

1914 წ. 1908 მდე მძიმე ხანა იყო ჩემთვის. დავბრუნდი ისევ ბათუმში, ჩემმა „წარვ ბამ“ ყოველივე ეს ვერ აიტანა და ავად შევიქენი. ამასთან კომანდირმა წლიურ მოწმობაზე მიმიწერა, რომ არა კეთილ სიმედო შტაბ-აფიცერია და თუ მოძრაობა ატყდება, ეჭვი არა მაქვს, რომ მოძრაობას მიემხრობა. მალე მივიღე ბრძანება: „მეფის მოადგილემ დროის შესაფერისად დაინახა, რომ სამსახურიდან გასვლილიყო“.

სამსახურიდან გამოსული, კ. ზაქრაძის შემწეობით, მცირე ჯამ გირიან ადგილზე ვმსახურებდი ქუთაისის ქალაქის გამგეობაში, შემდეგ ნავი-ქვის მრეწველთა საბჭოში.

1914 წ. ისევ სამსახურში გამიწვიეს, წელიწად-ნახევარი ვიყავი ბრძოლის ველზე, შემდეგ კომენდანტად დამნიშნეს ლაზისტანში, ს. პირნოიტში, ხოფის მახლობლად. აქ ლაზებში მრავალი ნაცნობი და მეგობარი შევიძინე და წელიწად-ნახევარში, რაც იქ მომიხდა ყოფნა, დიდ პროპაგანდას ვეწეოდი სხვებთან ერთად ლაზებში ერთგვარ შეხედულობის გასავრცელებლად.

როცა ეროვნული ჯარები შესდგა 1917-ის დამლევს, ლაზისტანი დავტოვე და გადმოვედი პირველ სათადარიგო პოლკში.

1918 წ. თებერვალში 600 აფიცრით გავემგზავრე ბათუმს და იქიდან აჭარის წყალზედ სადარაჯოზე. ამავე წლის მარტში სამს სხვასთან ერთად გამგზავნეს ქედაში აჭარლებთან მოსალაპარაკებლად.

მარტის 31-ს უკანასკნელი მატარებელი გამოვიდა ბათუმიდან, იმას გამოვყევი და ფორტ ბარცხანასთან კიდამ დაცვერცხლა მტრის ტყვიამ, რადგან გადახსნილ ბაქანზედ ვისხედით. 1919 წ. სექტემბრიდან ვმსახურობდი პირველ დივიზიის შტაბში; ჯარების რეორგანიზაციის შემდეგ კი შტატ გარეშე ვარ და აღარ ვითვლები სამსახურში.

პირველი ორიგინალური ნაშრომი დაიბეჭდა „მოამბეში" 1894 წ. მაისში. ჩემი ავადმყოფობის გამო შესწყდა ჩემი ლიტერატურული მუშაობა, დიდად ვწუხვარ ამისათვის, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემის ძვირფასი სამშობლოს განთავისუფლებას მოვესწარი და ეს დიდებული, ყოველის ქართველისთვის სანატრელი და ბედნიერი დღე ჩემის თვალით ვიხილე".

## დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილმა ქართულ მწერლობაში აჩვენა იმერეთის ეფემერული სახე; იმერეთი კი, ახალ საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემაა როგორც მხატვრული, ისე პოლიტიკური. ანალოგიებით, რომ ვთქვათ დავით კლდიაშვილმა ჩვენში სერვანტესის საქმე გააკეთა.

მართალია ლამანჩელ აზნაურის მედიდური პროფილი უფრო ანათებს, ვინემ დავით კლდიაშვილის ყველა აზნაურების—მაგრამ სამაგიეროდ თვით იმერეთი სცილდება ფონს და ხდება მომქმედ პირად—ეს კი, უფრო რთული მხატვრული ამოცანაა.

სერვანტესის ყოველი სტრიქონი ირონიაა. ყოველ-სიტყვა ანიშნავს ბოროტ სკეპსისის ნაკვალევს—დავით კლდიაშვილი კი გულუბრყვილოა, როგორც ბავშვი—მიუხედავად ამისა მხატვრული შედეგი ერთია ორივესთვის.

მე მგონია, მსოფლიო მწერლობაში იშვიათია ასეთი მაგალითი უშუალო, შეუცნობელ შემოქმედების—როგორც დავით კლდიაშვილის მწერლობა. აკაკი წერეთელზე ამბობენ, რომ ბედნიერი ნიჭის პატრონი იყო—ზევრჯერ მეტი სისწორით შეიძლება ითქვას, რომ დავით კლდიაშვილზე ბედნიერი ნიჭი არავის არ ჰქონია ჩვენში.

პროზაში სანდრო ყაზბეგმა, პოეზიაში ვაჟა ფშაველამ ეპიური სიმძიმით გადმოსცეს საქართველოს მთების ცხოვრება, მთიელების ჰეროიკული ბრძოლა თავისუფლებისთვის—ეს არის ქართული რომანტიზმი.

დავით კლდიაშვილმა დაიწყო ირონიით და თავისდა უნებურად შექმნა იმერეთის ფანტასმაგორია.

შედარებით თითქო ცოტა უწერია დავით კლდიაშვილს, მაგრამ ყოველი მისი სახე ისეა გამოკვეთილი, რომ გეჩვენებათ ახალი სამყარო სრულიად თავისებური და სხვანაირი.

ეს სხვა დროს სხვა წერილში ჩვენ ვეცდებით დავით კლდიაშვილის პორტრეტის დახატვას—დღეს ეს იყოს ჩვენი მილოცვა მისი იუბილესი, რომელსაც მთელი საქართველო გაიზიარებს...

ტიციან ტაბიძე.

## დავით კლდიაშვილი

ჩვენს ლიტერატურას თუ კი როდისმე საკუთარი სამეფო შეუქმნია, ესა თუოდ მის ოქროვლის კართან შეჰნიშნავთ კეთილ-შობილს, თუმცა ჭმუნვარებით დაზიდულ პიროვნებას—დავით კლდიაშვილს.

ის არა ჰგავს თავის წინამორბედებს, თუნდა კორიფეებად წოდებულ არც ჭავჭავაძეს და არც ყაზბეგს, მით უმეტეს უფრო ნაკლები ნათესაობა აქვს მეხსიერ სტებთანაც.

კლდიაშვილი სევდის ღრუბლებში იჭრებოდა სიცილით და ხშირად მაცდურადაც.

ჭეშმარიტად, იგია სული, რომელიც თავის სიცილით თვით უფრო იწვის, ვიდრე მისი მ.მენელი. და ის ჯამბაზივით ატარებს ფანტასტიურ იმერეთის აზნაურებს, ამ საოცარ ხალხს.

კლდიაშვილის ტილოზე ვის არ მოაგონებდა „ძაღლის ყბა გამობმული" სოლომონ მორბელაძე, ეს „დაგლახავებული", ყოვლად უბადრუკი და თავის წოდების შემრცხვენელი, რომელიც არ უკადრისობს მაჭანკლის როლი იკისროს და „მოჩაქჩაქე ჯორით" სოფლიდან სოფელს იწანწალოს, ატყუოს ყველა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლოს თვითონვე მოტყუებული გამოვიდეს! მაგრამ რა მორბელაძე, აგერ თქვენ წინ მთელი რიგი არა ფანტომებისა, არამედ ხორც-შესხმულ იმერეთის აზნაურებისა, რომელთა ბიუსტებით უკვდავი გალერეია შეიქმნა ჩვენი დარღვეულ პატრიარქალურ ოჯახის ნაშთების შესანახად!

ამ მხრივ კლდიაშვილის იუმორი, მისი კალმით ჩამოსხმული ფერადები რელიგიური ტანჯვაა, იმიტომ რომ იცინის იქ, სადაც ფანტომებს ადამიანის სახე მიუღიათ და სიცოცხლით სიკვდილი განუცდიათ, იცინის, რომ სიცოცხლე სიცოცხლეს აღარა ჰგავს, ყველანი იქცნენ ცხოვრების ძონძებად.

რაღა თქმა უნდა, ასეთ ხალხთათვის აღარ არსებობს ფიზიკური სიკვდილი, ეს დიდი მისტიური სტუმარი. ამ ხალხმა გაათახსირა სიკვდილის საიდუმლოებაც, როგორც თვით სიცოცხლე. აბესალომ სალამთაძეს მოჰნეული ხანჯალი უბედურ ირინეს თავზე ჩვენი ცხოვრების უსაშინელესი ნიშანია.

მაგრამ კლდიაშვილს ფერადების ორგია მარტო ერთ ძიცვალებულთა და ლილიპუტების დასახატად კი არ სჭირდება! მუქ ფონის გულზე იგი გვიხატავს პატარა კაცის სიცოცხლესაც, რომელიც სრულიად მოულოდნელად ამოხდება ღმერთების წინაამდეგ.

„შერისხვაში" კლდიაშვილი ლირიკულ დარბილებით სასტიკ სატირას ათავსებს ნატურალიზმის შავ ჩარჩოში.

კაცია მოლოდინშია, ელის რომ წმ. გიორგი მის შერისხვას გაიგონებს და სამართალს გაჩენს. ელის რომ მისი დამჩაგვრელები ერთხელაც არის სასტიკ მსჯავრს მიიღებენ უზენაესის მხედრიდან წმ გიორგისგან. მაგრამ თვე თვეს მისდევს, ბრწყინვალე აღდგომაც თენდება, მაგრამ შერისხვამ არ გასჭრა, და აი, ხატებით ლიტანიაობისა და საზოგადო ლალადის დროს იფეთქებს კაცია:

„ვრთომ ესმის ახლა მაგას? ძაღლი ვიყავი, რომ არაფერი შეისმინა:

ამიერიდან კაცია საგუნაშვილი სწვავს ყოველივე იდეებს უზენაესის სამართლიანობისა და ყოვლად შემძლებლობაზე, სწვავს, მაგრამ მის განახლებას აღარ ელის.

მისი გასროლილი ისრები პირველად მასვე მოხვდებიან... კაცია „გაგიჟდა". კაციას უზიარებლად სტოვებენ... კაციას ისეთ დატირებას და ქელეხსაც კი არ უხდიან, როგორსაც ჩვეულებრივ სიცოცხლით დამძვრალებულ და სიკვდილ ნაზიარებელთ უხდიდნენ...

სამაგიეროდ კაციას უკვდავი ძეგლი დაუდგა კლდიაშვილმა.

კლდიაშვილი არის უკვდავ ჰიუგოს „ადამიანი რომელიც იცინის" უზენაეს ტკივილშიაც კი...

და კლდიაშვილს ემორჩილება სიცილის სამეფო, როგორც არავის და დარჩება იგი სიცილის პაჟი..

„დარისპანის გასაჭირის" პატარა გალერეია, თვითონ დარისპანი და განსაკუთრებით კაროჟნა თავის დაუღალავი მუზიკით, რომ თავი მოაწონოს „დიდ კაცს", ვიღაცა „სტრელოჩნიკს", ისიც მის და სავალალოდ თურმე ცოლიანადამიანს, ისე დარჩება, როგორც ქართული იუმორის მოსისინე გველი, როგორც შხამიანი ყვავილები, რომელთა თვითეული ფურცელი მარადიულ სიცილის ლექსიკონში გვექნება ჩართული, ვიდრე სიცოცხლე თავის ყოფნის გასამართლებლად ჯანსაღ სიცილს მოგვთხოვს.

ამ მხრივ კლდიაშვილი ჩვენი კომედიის უკვდავი არისტოფანეა...

თვითეული ჩვენგანი სიყრმეში მხიარულ მგზავრობას ვეწევით როგორც კლდიაშვილი თავის ქაბუკობის გაზაფხულზე და თვით ზაფხულში. მაგრამ შემდეგში, როდესაც ეს სანეტარო ხანა გაივლის და ტკბილ მოვონების ანაპარად დაგვტოვებს ხოლმე, გონება თითქოს გვიცხრება, აფეთქებული გრძნობები გვიდუნდებიან, სულიც ნაკლებად იცინის და ძველს სიმხიარულეს და დარდიმანდობას უკანა პლანზე ვდებთ, ახლად მომავალთა ხელში გადასაცემად.

კლდიაშვილმაც განვლო დიდიხანია ეს ნეტარი დრო მაგრამ მისი დემონი მოხუცებაშიც ისევ მის ყურთან ზის და ჩურჩულით ახალ-ფერებს აწვდის.

კლდიაშვილი ამ მხრივ მომავალ ხათვისაც თანამედროვე იქნება მარად.

რა ბედნიერია!

ბედნიერია მით, რომ მაშინაც, სრულიად უცნობ თაობისთვისაც, იგი როგორც სასურველი თანამგზავრი ილაპარაკებს ყველას გულთან, თავისში მათ აპოვნინებს მრავალს მშვენიერ და სიცილით მიიყვანს იმ მწვერვალებამდე, ადამიანობა რომ ეწოდება!

დ. კახრაძე.

## დავით კლდიაშვილის იუბილეს ცერემონიალი

1) საღამოს 7 საათზე და 20 წუთზე სასტუმრო „ორიანტიდან" (სადაც იუბილიარისთვის დამზადებულია ბინა) იუბილიარის მოსაყვანად ავტომობილით გაემგზავრება მწერალთა დელეგაცია, რომელშიც საბჭოს მიერ არჩეულნი არიან მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდ. ქ. მაყაშვილი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ნ. შიუკაშვილი და დამსახურებული მწერალნი შიო არაგვისპირელი და ვახილ ბარნოვი.

2) 7 ნახ. საათზე იუბილიარი მობრძანდება სახელმწიფო თეატრში. მას კარებთან შეეგებიან მწერ. კავშ. საბჭოს და საიუბილეო კომისიის წევრნი.

3) 7 და სამ-მეოთხედ საათზე დაიწყება ივანე გომართელის მოხსენება დავ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ.

4) მოხსენების შემდეგ სცენაზე გაიმართება მწერალთა საზეიმო სხდომა. იუბილიარს სცენაზე გამოიყვანენ დამსახურებული ქართველი მწერლები და ამ დროს ორკესტრი შეასრულებს ეროვნულ ჰიმნს. საზეიმო სხდომას გახსნის მწერ. კავშ. თავმჯდ. ქ. მაყაშვილი და მიართმევს იუბილიარს ადრესს ქართველ მწერალთაგან. შემდეგ დაიწყება მილოცვები.

5) ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები „უბედურება" და „დარისპანის გასაჭირი".

6) სახელმწიფო თეატრში ზეიმის დასრულების შემდეგ მწერალთა კავშირის კლუბში „ქიმერიონში" იუბილიარის პატივსაცემად გაიმართება ბანკეტი.

—

დავით კლდიაშვილის საიუბილეო წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ „უბედურებაში" ნინო ჩხეიძე, სინონი, ეპიტაშვილი, ბბ· ვასო არაბიძე აბდუშელი, მ. გელოვანი, შ. ღამბაშიძე, მ. ფრონისპირელი, მ. ფონგიშვილი, ვასაძე, ჟღვიძე, სარაული, „დარისპანის გასაჭირში" ქ. ელ. ანდრონიკაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ა. ლოლუა, ქორქიშვილი, ბბ. ვ. არაბიძე, ჩარკვიანი ღამბაშიძე.

საუბილეო საღამოზე გამოგზავნილ დელეგატებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ რწმუნებულების ბარათი რომ სცენაზე შემოვიდნენ.

დღეს, სახელმწიფო თეატრში საიუბილეო საღამოზე წესრიგის დამცველათ დანიშნულნი არიან ექ. ივ. ელიაშვილი და ა. ახნაზაროვი.

# დამფუძნებელი კრება

### თებერვლის 13-ს სხდომა

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე, მდივნობს კონსტანტინე ჯაფარიძე, პრეზიდიუმში ექ. თაყაიშვილი.

**საბოლოო ტექსტი**

ივ. გომართელი მოახსენებს კრებას საბოლოო ტექსტს:

1. სახელმწიფო ქალაქ-დების დამხადებელ ექსპედიციისათვის ქაღალდის შესაძენად 24 მილ. მანეთის გადადების დეკრეტისას;

2. დამოუკიდებლობის ფონდის შექმნისათვის საყოველთაო ხელის მოწერის გამოცხადების დადგენილებისას.

3. მთავრობის წევრთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა საჯარიმო დღიური ხარჯის და გზის ფულის ნორმების შეცვლის დეკრეტისას.

და 4. სახაზინო და კახეთის რკინის გზის პენსიონერთათვის დამატებითი პენსიის დანიშვნის დეკრეტისას.

**შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სამეგზაო ხიდების ინჟინრის თანამდებობის დაარსება**

ნ. იმნაიშვილი მოახსენებს კრებას, რომ წარმოდგენილ დეკრეტით გაუქმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სატეხნიკო თათბირი და მის მაგივრად არსდება სამეგზაო ხიდების ინჟინრის თანამდებობა.

მისი მოვალეობა იქნება სატეხნიკო კითხვების დამუშავება. სატეხნიკო გეგმების შედგენა და სხვა.

საფინანსო საბიუჯეტო კომისია დაეთანხმა მთავრობას ამ თანამდებობის დაარსებაში.

კანონპროექტი კამათს არ იწვევს.

**სატეხნიკო საპროფესიო სკოლათა შტატი და ხარჯთაღრიცხვა**

ნ. იმნაიშვილი. კანონპროექტი ეხება საპროფესიო და სატეხნიკო სკოლათა შტატებს და ხარჯთ აღრიცხვას.

**საპროფესიო და სატეხნიკო სკოლათა სიმცირე.**

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული წარმატება შეუძლებელია ტეხნიკურ და საპროფესიო ცოდნის გაუვრცელებლივ მიუხედავად იმისა, რომ საპროფესიო ცოდნის დარგში მუშაობისათვის საქართველო უსაზღვრო ასპარეზს იძლევა ჩვენში მეტად მცირეა ასეთი სკოლები. ამ კანონპროექტით ჩვენ ვამტკიცებთ. თბილისის საშუალო პოლიტეხნიკურ სასწავლებლის, თბილისის მიწის მზომელია სასწავლებლის, თბილისის საფეიქრო სკოლის, ბორჯომის და ხონის სახელოსნო სასწავლებელთა და ხონის სახელოსნო სკოლის დროებით დებულებებს და თვითეულის ცალკე შტატს 1919 წ. 1 ნოემბრიდან.

**ახალგაზრდების საზღვარ გარედ გაგზავნა**

ვინაიდან ჩვენ საკუთარ სატეხნიკო ძალებით მეტად სუსტნი ვართ, მთავრობამ უკვე გაგზავნა უცხოეთში, ამ დანაკლისის გამოსასწორებლად, და სპეციალ ცოდნის მისაღებად, ახალგაზრდები.

**მომატებული ჯამაგირები მასწავლებელთა ვის.**

სახალხო განათლების კომისიამ განიხილა ეს შტატი რომელიც წარმოდგენილია უწყების მიერ და (კოტაოდენი ცვლილება შეიტანა. საფინანსო საბიუჯეტო კომისია დაეთანხმა განათლების უწყების სატეხნიკო საპროფესიო სკოლის მასწავლებელთათვის მომატებულ ჯამაგირების დანიშვნაში, ამ რიგად ხსენებულ სასწავლებლებში შრომა დაფასებული იქნება უფრო მეტად ვიდრე ზოგად განათლების სასწავლებლებში, ვინაიდან ის მასწავლებლები, რომლებიც ამ სკოლებში მოღვაწეობენ სხვაგან სხვა სამსახურში გაცვლებით მეტ შრომის ფას აიღებენ როგორც სპეციალისტები.

**ხარჯთ აღრიცხვა.**

სატეხნიკო საპროფესიო სკოლების ხარჯთ აღრიცხვა წლიურად უდრის 1.503050 მან. ხოლო 7 თვის განმავლობაში (1919 წ. 1 ნოემბრიდან) 777.087 მანეთს.

**ალ. ასათიანის სიტყვა.**
(ეროვ. დემ.).

**უყურადღებობა საპროფესიო განათლების სკოლებისადმი.**

საპროფესიო განათლება დღევანდელ ჩვენს პირობებში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

სამწუხაროდ ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივანიჭეთ მას სათანადო ყურადღება აქ წარმოდგენილი საპროფესიო და სატეხნიკო სკოლათა შტატი ოდნავადაც ვერ აუმჯობესებს მდგომარეობას.

**საპროფესიო სკოლათა სიმცირე**

წარმოდგენილი კანონპროექტი ამტკიცებს მხოლოდ ჩვენში არსებულ საპროფესიო სატეხნიკო სკოლებს. რაც შეეხება ასეთ სკოლების გამრავლებას ამ მხრივ ჩვენ ვერ ვხედავთ სასურველ ცვლილებას. საპროფესიო სკოლების გამრავლებას არ დაეთმო სათანადო ადგილი. ეს დიდი ნაკლი არის.

**მოწაფეთა სიმცირე საპროფესიო სკოლაში**

სამწუხაროა აგრეთვე ის გარემოება რომ თვით იმ საპროფესიო სკოლებში, რომლებიც არსებობს ჩვენში მოწაფეთა რიცხვი მხოლოდ ასობით ითვლება.

თქვენ რომ აიღოთ 1916 წ. სტატისტიკა დაინახავთ, რომ ქართველ მოწაფეთა რიცხვიდან ასეთი დარგის სკოლაში სულ 2 პროც. კი ვერ აღწევს. 98 პროც. მეტი მოწაფეებისა საზოგადო განათლების სკოლებში სწავლობენ. ასეთი ცალმხრივი განათლება უკვე ჩვენ ღარიბ ქვეყანას სარგებლობის ნაცვლად ზიანს აყენებს.

**სკოლების გამრავლების საჭიროება**

თუ გვინდა რომ ჩვენი ქვეყანა მოლონიერდეს ეკონომიურად და კულტურულად საჭიროა რომ დიდი ყურადღება მივაქციოთ სამეურნეო, სატეხნიკო და საკომერციო სწავლის გავრცელებას. ამიტომ საჭიროა არა მარტო არსებულ საპროფესიო და სატეხნიკო სკოლათა შტატის დამტკიცება არამედ საჭიროა ამ სკოლების გამრავლება. შეგვიძლიან ამით ჩვენ თავი დავაღწიოთ იმ საშინელ ეკონომიურ დაქვეითებას რომელსაც ეხლა განვიცდით.

**ინსტრუქტორების მომზადება საზღვარგარედ**

როდესაც უცხოეთში გავგზავნეთ ახალგაზრდანი ჩვენ იქაც არ მივაქციეთ ამ დარგს სათანადო ყურადღება ეხლა თვით ს. დ. პრესაშიც კი აღიძრა საკითხი საზღვარგარედ ახალ კადრის გაგზავნის შესახებ. ამ ახალ კადრისგან უნდა შემზადდნენ საპროფესიო და სატეხნიკო დაბალ სკოლათა ინსტრუქტორები. ვფიქრობ, რომ სახალხო განათლების უწყება მოვალეა რაც შეიძლება დაიჩქაროს ასეთ კადრის გაგზავნა სანამ ეს არ გვექნება ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენს მცირე რიცხოვან სკოლების გამრავლებას.

ნ. იმნაიშვილი უკანასკნელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ჩვენ ამ ასპარეზზე მუშაობის უკანასკნელ საფეხურზე ვდგავართ.

**პირველი საფეხური**

ჩვენ პირველ საფეხურზე არ შევჩერდებით და ამ ასპარეზზე მუშაობა უფრო გადიდდება და არ შემცირდება.

**ინსტრუქტორების მომზადება მომავლის საქმეა.**

რაც შეეხება ევროპაში მოსწავლეთა ახალ კადრის გაგზავნას ეს მისაღებია, მხოლოდ ეს მომავლის საქმეა. ამ მხრივ ჩვენი სურვილი ისეთია როგორც ბ-ნ ასათიანის.

**მიწადმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ჯამაგირის ახალი ნორმები**

ი. სალაყაია მოახსენებს კრებას, რომ წარმოდგენილი დეკრეტით მიწადმოქმედების სამინისტროს დაწესებულებაში ზოგიერთი მოსამსახურეთ ენიშნებათ მომატებული ჯამაგირი შტატი რჩება ძველი. შეტანილია მხოლოდ ბუღალტერიის ინსტრუქტორი. დეკრეტი იწვევს კამათს·

(დასასრული იქნება)

## მსოფლიო პატრიარქის მილოცვითი დეპეშა საქართველოს მთავრობისადმი

(საქართველოს თარგმანი)

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის გამო მსოფლიო პატრიარქმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

„სტამბოლის ეკლესია, იზიარებს ქართველ ერის დამოუკიდებლობის აღიარებით გამოწვეულ მის სიმხიარულეს. მოგესალმებით თქვენს მაღალკეთილშობილებას და გთხოვთ გადასცეთ ქართველ ერს, სტამბოლის ეკლესიის დედობრივი სურვილები. იგი შესთხოვს ღმერთს მიანიჭოს თქვენს კეთილმორწმუნეებს კეთილდღეობა და გამარჯვება".

# ახალი ამბები

## პარტიული ცხოვრება

**პარტიულ სტუდენტთა კრება.**

დღეს დილის 10 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესდგება ყველა ფაკულტეტის ეროვნულ-დემოკრატ-სტუდენტთა არაჩვეულებრივი კრება. მოწვეულია მთავარი კომიტეტის წევრი ბ-ნი პ. სურგულაძე რომელიც გააკეთებს მოხსენებას, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

დღის წესრიგში სდგას სხ. საორგანიზაციო საკითხებიც.

ამხანაგები თვალყურის არიან დაესწრონ.

ეროვ. დემ. პარტიის მთავარ კომიტეტისა და უპარტიოთა კავშირის შეერთებული კრება დანიშნულია დღეს საღამოს 6 საათზე. საორგანიზაციო კომისიის კრება შესდგება საღამოს 5 ს.

## „სასოფლო გაზეთი"

1-ლ მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი „სასოფლო გაზეთი".

„სასოფლო გაზეთს" ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მევენახეობა და მეღვინეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობას იღებენ ცნობილი სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური; რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზედ № 5. გაზ. „საქართველო"-ს ბინაზე.

## მთავრობაში

**გელათის ქვანახშირი.**

ტყიბულის შტოზე სად. გელათთან მდებარე ქვანახშირის მიწების პატრონებმა და საიკავშირმა შუამდგომლობა აღძრა სამთო სამმართველოს წინაშე რათა მას მიეცეს უფლება საზღვარ გარედ გაზიდვისა. სამთო სამმართველოს უფროსმა ბ. ყიფშიძემ ეს შუამდგომლობა წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას და თავისი მხრივ სთხოვს რათა ხელი შეუწყოს ახალ წარმოების განვითარებას და ნება დართოს მთხოვნელ გაყიდოს გელათის ქვანახშირი საზღვარგარედ.

**მინგრელსკის განძეულობა.**

ყოფილ თ-დ მინგრელსკის განძეულობა რომელიც ამ ცოტა ხანში ჩამოტანილ იქმნა თბილისში შესანახად დასავლეთ საქართველოდან მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით უნდა აიწეროს და აიწონოს დაწვრილებით და შესდგეს ნუსხა. ამ საქმის მოსაგვარებლად შემდგარია კომისია სამთო სამმართველოს უფროსის ინჟინერ ყიფშიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან ე. თაყაიშვილი, გ. ფადავა, ინჟ. წერეთელი და ალ. კორინთელი.

**მთხოვნელების მიღება.**

მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს მთხოვნელებს კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით 12 2 საათამდე, მთავრობის სახლში (რუსთაველის პროსპ ყოფილი კადეტთა კორპუსი).

## სამინისტროებში

**ტყვიბულის მადნეულობა.**

სამთო სამმართველომ გადასცა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამთო სამმართველოს პროექტები ხელშეკრულებისა ტყვიბულის მადაროების და მთელი მადნეულობის იჯარით გაცემის შესახებ.

## სხვა და სხვა ამბები

**სტუდენტთა დღის შემოსავალი.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის მიერ მოწყობილ „სტუდენტთა დღის" შემოსავალი ჯერ ჯერობით 225,626 მანეთია.

**ბ. იშხანიანის წიგნი.**

რედაქციამ მიიღო ბ. იშხანიანის წიგნი „Великіе ужасы въ гор. Баку". წიგნი შეიცავს 177 გვერდს და ღირს 70 მან.

**სომხური ჟურნალი.**

გამოვიდა დაშნაკცაკან სტუდენტთა კავშირის ორგანო—ჟურნალი „ჰორიძანჯ"-ი. ჟურნალი ყოველკვირეულია.

**სომეხ მსახიობთა დღე.**

ხვალ „სომეხ მსახიობთა დღეა".

**სომხური ეროვნული ბანკი.**

ცნობილმა ნავთის მრეწველებმა ძმ. მაილოვებმა წინადადება მისცეს ერევნის მთავრობას, რათა ნება დართოს მათ, გახსნან სომხური ეროვნული ბანკი 60 მილიონ ფრანკის ძირითად თანხით, საემისო უფლებით.

**არტაანის ოლქის დელეგაცია.**

გუშინ დე-ნონანკურ საფრანგეთის მისიის თავმჯდომარე ინახულა არტაანის ოლქის დელეგაციამ, და წარუდგინა სხვა და სხვა შუამდგომლობანი.

## ს ზ-ნი და კრებანი

**დიღმის მინდვრის არხი**

ერობათა გამგეობის და სამთო სამართველოს სატეხნიკო კომისიის შეერთებულ სხდომაზე მოსმენილ იქმნა დიღმის მინდვრის პროექტი დიღმის მიდორზე არაგვის დიდ არხის გამოყვანის შესახებ. კრებამ დაადგინა შეკითხოს მთავრობას და ქალაქის თვითმართველობას, რომელიც იქიდანვე აპირებს გამოყვანას და საზოგადოება „ოქროს ვერძს", რომელიც ითხოვს მიეცეს მას უფლება წყლის გამოყვანისა არაგვიდანვე გიდრო-ელექტრონის სადგურის გასამართავად.

**ურილობის წევრთა მოწვევა.**

ქართულ სატეხნიკო საზოგადოებამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა მოიწვიოს თავის სხდომაზე მთელი შემადგენლობა ერობათა ტეხნიკურ მოღვაწეთა ყრილობის წევრნი, რომელთა ზედაც მოსმენილ იქნება მოხსენება საჭიროსი შესახებ „საერობო ტეხნიკის იხზები".

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში ქრონიკაში სახელმწიფო ბანკის შესახებ მოყვანილი ცნობა სიმართლეს არ შეეფერება: ბანკის მართველობის წევრებად დასახელებულია შემდეგი წევრები; გამგედ ლორთქიფანიძე, საბჭოს თავმჯდომარედ ნ. ელიავა, მის ამხანაგად ს. მდივანი; წევრებად ვ. ბერელაშვილი, გ. ჟურული, დ. თოფურიძე, ქ. მესხი, ა. ფორაქაშვილი და ნ. ცაგარელი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი ეთ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 26 **ვაჭრობა და მრეწველობა** № 26

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## სახელმწიფო ნუსხის შემოსავლის ბალანსის ასრულება

სახელმწიფო ნუსხის 1919/20 საანგარიშო წლის შემოსავლის ბალანსში შეტანილია შემდეგი შემოსავლის მუხლები.

| | | |
|---|---|---|
| 1. | პირდაპ. გადასახ. | 55.275,300 მ. |
| 2. | არა პირდაპირი გად. | 89.247.000 „ |
| 3. | ბაჟი . . . . . | 18.984.400 „ |
| 4. | სახელ. რეგალიები | 7.948.392 „ |
| 5. | სახაზ. ქონ. და თანხ. | 574 208.420 „ |
| 8. | სახ. ხაზ. ხარ. დაფ. | 923.716 „ |
| 9. | შემთხვ. და წვრ. შემოს. | 3.311.959 „ |
| 10. | სახელმწიფო ხაზინის 5 პრ. მოკლე ვადიან ვალდებ. განაღდება | 47.500.000 „ |

**ჯამი შემოსავლისა** 797.401.187 მ.

ხარჯთაღრიცხვის პირველი სამი დარგიდან, რომელნიც წარმოადგენენ სახელმწიფო შემოსავალს, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მოსალოდნელია 163.508.700 მან. შემოსავალი, რაიც შეადგენს საშუალოდ თვეში 13.625.725 მან. ხუთ თვეში კი 68.128 625 მან. ნამდვილად კი შემოვიდა ყოველგვარ გადასახადებიდან მიმდინარე საანგარიშო წლის აღნიშნულ დროს განმავლობაში:

1919 წელი.

| | |
|---|---|
| ივნისი . . . . . | 12 956.619 მან. |
| ივლისი . . . . . | 18.169 479 „ |
| აგვისტო. . . . . | 16.529.279 „ |
| სექტემბერი. . . . | 23.711.664 „ |
| ოქტომბერი. . . . | 35.216.023 „ |
| **ხუთ თვეში** | 106 583.064 მან. |

ამ გვარადების სახელმწ. გადასახადებიდან ფაქტიურმა შემოსავალმა მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ხუთი თვის განმავლობაში გადააჭარბა ხარჯთაღრიცხვის მოლოდინს 38,454,439 მანეთით, ან თვეში 7 690.888 მან.

გადასახად. შემოსავალი ცალ-ცალკე დარგების მიხედვით ამ დროს განმავლობაში ამგვარად იყო დანაწილებული:

1914 წელს. პირდაპირი გადასახადი

| | |
|---|---|
| ივნისი | 791,963 მან. |
| ივლისი | 1.414.132 „ |
| აგვისტო | 1,224,474 „ |
| სექტემბერი | 1,807,077 „ |
| ოქტომბერი | 9,979.290 „ |
| ხუთი თვის ჯამი | 15,215,936 მან. |

მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ გადასახადების თვიური შემოსავალი ოქტომბრამდე იყო უმნიშვნელო, 1 ნახ. მილიონ მანეთამდე, და მხოლოდ ოქტომბერში შემოსავალმა იმატა თითქმის 10 მილიონამდე. მიზეზი ასეთ უთანასწორობისა მდგომარეობს იმაში, რომ პირდაპირ გადასახადის გარდახდა ხდება განსაზღვრულ ვადაში და უმეტესი ამ ვადებისა უახლოვდება სამოქალაქო წლის დასაწყისს. კერძოთ ასეთი დიდი განსხვავება გადასახადებისა აიხსნება იმით, რომ ოქტომბრიდან შემოღებული იყო ერთდროული გადასახადი მიწის შემოსავალზე, რომლის ჯამი ხარჯთაღრიცხვაში უდრის 70 მილ. მან. და მიღებულია დამფუძნებელ კრების მიერ წარსულ წლის მაისში.

პროექტის მიხედვით პირდაპირ გადასახადებიდან 5 თვის განმავლობაში უნდა შემოსულიყო 23.031.290 მან., ნამდვილად კი შემოვიდა 15.216.936 მან., ე. ი. 7.814.354 მან. ნაკლები, მაშასადამე თვიური დანაკლისი უდრის საშუალოდ 1.562.871 მან.

საბაჟოების შემოსავლის შედეგი პირველ 5 თვის განმავლობაში ასეთი იყო:

1919 წელს

| | |
|---|---|
| ივნისი | 817.288 მან. |
| ივლისი | 1.112.098 „ |
| აგვისტო | 2.039.499 „ |
| სექტემბერი | 2.024.448 „ |
| ოქტომბერი | 2.261.680 „ |
| ხუთი თვის ჯამი | 8.255.013 მან. |

ხარჯთ-აღრიცხვაში საბაჟო გადასახადი ნაანგარიშევი იყო 24.500,000 მანეთი, რაიც შეადგენს თვიურად 2.041,666 მან. აქედან სჩანს, რომ ივნისსა და ივლისში დანაკლისი საკმარისად დიდი იყო, მაგრამ უკვე აგვისტოდან საბაჟო შემოსავალი თითქმის უდრის ხარჯთ-აღრიცხვის ჯამს, ოქტომბერში კი კიდევაც გადააჭარბა მას. ნოემბრამდე ნავარაუდევი იყო 10,208,330 მან. შემოსავალი, ხოლო შემოვიდა 8,225,012 მანეთი, ე. ი. 1.953,217 მან. ნაკლები, მაშასადამე თვიური საშუალო დანაკლისი უდრის 390,643 მან.

არა პირდაპირი გადასახადი, როგორც სჩანს ხარჯთ-აღრიცხვის მეთერთმეტე განყოფილებიდან, შეტანილი იყო ნუსხაში საერთო ჯამით 89 247,000 მან., მაშასადამე თვიურად ნავარაუდევი იყო 7.437,250 მან., ნუსხის მიხედვით კი მიმდინარე საანგარიშო წელს 5 თვის განმავლობაში ნაანგარიშევია 37.186,250 მან., ნამდვილად აღნიშნულ დროს განმავლობაში შემოვიდა 83.111,115 მან., რომელიც თვიურად შემდეგად არის განაწილებული:

1919 წელი

| | |
|---|---|
| ივნისი . . | 11.347,368 მ. |
| ივლისი . . | 15.643,249 „ |
| აგვისტო. . | 13 265,306 „ |
| სექტემბერი. | 19.880,139 „ |
| ოქტომბერი. | 22 975,053 „ |
| 5 თვის ჯამი. | 83.111,115 მ. |

არა პირდაპირი გადასახადის შემოსავლის ასეთი თვალსაჩინო გადამეტება შედარებით ხარჯთ-აღრიცხვის მოლოდინთან აიხსნება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო ნუსხის პროექტის შედგენის დროს, სააქციზო გადასახადი ჯერ ისევ ძველი იყო, რომელიც ძლიერ ჩამორჩებოდა საასდანო ფარდობით ნაწარმის საბაზრო ფასს, რომელნიც აქციზით დაბეგრილი იყვნენ.

ასე მაგალითად: ბოთლ არაყზე იხდიდნენ მაშინ 40 კაპ მისი ფასი კი 7 მან. იყო; ბოთლ კონიაკზე აქციზი დანიშნული იყო 44 კაპ., მისი ღირებულობა 70 მანეთამდე იყო; ბოთლ ღვინოზე იხდიდნენ 30 კაპ. ფასობდა კი იგი 8—30 მანეთამდე და სხვ.

ამ დაძველებულ გადასახადის მიხედვით, ანუ უკეთ იმ შემოსავლის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფო იმ დროში იღებდა მისი გამოყენებით, იყო განსაზღვრული მოსალოდნელი არა პირდაპირ გადასახადის სახარჯთაღრიცხო შემოსავალი.

წასულ წლის ივლისში დამფუძნებელ კრების მიერ მიღებული იყო კანონი, რომლის ძალითაც ყოველი ნორმა არა პირდაპირ გადასახადისა გადიდებული იყო. ამ ხანად ბოთლი ჰაჰის არაყი დაბეგრილია ორი მანეთით, პურისა—4 მანეთით, ბოთლი კონიაკი—6 მან. და 60 კაპ., ბოთლი ღვინო—1 მან., ბოთლი ლუდი 70 კაპიკამდე და სხვ.

ცხადია, რომ ამ გადასახადის გადიდების წყალობით უნდა ემატა აქციზს, რაიც ნამდვილათაც მოხდა. მაგრამ ეს გადიდება ჩამორჩა აქციზით დაბეგრულ საგნებზე უზომო ფასების ზრდას, რასაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელ ხანში. და თუ შევადარებთ თანამედროვე გადიდებულ საქციზო გადასახადს დაბეგრილ საგნის ფასს, მაშინ დავინახავთ, რომ აქციზის პროცენტი ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე იგი იყო ომამდე.

ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს არა ერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ არა პირდაპირ გადასახადის რაოდენობის ფიქსაცია არ უნდა ხდებოდეს, არამედ იგი უნდა შეადგენდეს ნაწარმოების გასყიდვის ფასის განსაზღვრულ ასდანს, და ეს ფასი უეჭველად აღნიშნული უნდა იყოს ნაწარმოებზე. ეს იქნება საიმედო საშუალება სპეკულიაციასთან ბრძოლის დროს, როდესაც საქონელი გადადის ერთი ხელიდან მეორეში, ხაზინა კი სავსებით მიიღებს ხვედრ გადასახადს.

არა პირდაპირ გადასახადის შემოსავლის ცნობებიდან სჩანს, რომ უკვე ივნისიდან მისმა ფაქტიურმა შემოსავალმა გადააჭარბა სახარჯთაღრიცხო მოლოდინს. მაგრამ უფრო დიდი განსხვავება ემჩნევა ენკენისთვიდან, როდესაც სააქციზო შემოსავალმა იმატა 6,5 მილიონ მანეთით, რაიც შეადგენს ივლისის დამლევს მიღებულ კანონის პირდაპირ შედეგს, შესახებ გადასახადის გადიდებისა. საერთოდ მიმდინარე საანგარიშო წლის ხუთი თვის განმავლობაში საქციზო გადასახადიდან ზედმეტი იყო 45.924·865 მან., ანუ საშუალოდ თვიურად 9.184.973 მან.

რომ შევადგინოთ ჯუმლი სახელმწიფო ნუსხის ასრულებისა მიმდინარე საანგარიშო წლის 5 თვის განმავლობაში, შესახებ გადასახადების განყოფილებისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა პირდაპირ გადასახადის და საბაჟო შემოსავალი ჩამორჩა ხარჯთ-აღრიცხვის მოლოდინს, სამაგიეროდ არაპირდაპირი გადასახადი იძლევა შესამჩნევ ზედმეტს. ეს ზედმეტი აჭარბებს პირველ ორ კატეგორიის დანაკლისს, ასე რომ საერთოდ ნავარაუდევი საანგარიშო 1919/20 წლ. სახელმწიფო გადასახადები არამც თუ სავსებით, შემოდის, არამედ ზედმეტსაც იძლევიან, რომელსაც შეუძლიან დაჰფაროს ხარჯთ აღრიცხვის დანარჩენ მუხლების დანაკლისი.

რაც შეეხება სახელმწიფო ნუსხის ასრულების შესახებ ხარჯთ-აღრიცხვის მე-IV მუხლისა—სახელმწიფო რეგალიების შემოსავალს, უნდა აღინიშნოს აქაც სამედო მდგომარეობა; საერთო ცნობების მიხედვით ხარჯთ-აღრიცხვის ასრულება მიმდინარეობს სწორე და ფაქტიური შემოსავალი აჭარბებს სახარჯთ-აღრიცხო მოლოდინს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხარჯთ-აღრიცხვაში სახელმწიფო რეგალიებს მცირე ადგილი უჭირავთ. წლიური შემოსავალი აღრიცხულია 7, 9 მილიონ მან., რაიც შეადგენს მთელი შემოსავლის 1 პროც. როგორც ცნობილია, სახელმწიფო რეგალიებს სხვა სახელმწიფოებში დიდი ადგილი უჭირავთ და ომის დაწყებამდე რუსეთის სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვაში სახელმწიფო რეგალიების შემოსავალი შეადგენდა მთელი შემოსავლის 30, 4 პროც. ამ დარგის შემოსავლის გაუნუვითარებლობის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოზე, როგორც მთელ ამიერ-კავკასიაზე, არა ვრცელდებოდა სპირტის და არაყის მონოპოლია და 1917 წელს შემოღებული შაქრის მონოპოლია აქაც უნიადაგო აღმოჩნდა.

ამ გარემოებით აიხსნება სახელმწიფო ბიუჯეტის მოუწყობლობა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბიუჯეტი არ იქმნება შეთანხმებული და სახელმწიფო ხარჯი სავსებით ვერ დაიფარება მინამდე, ვიდრე მონოპოლიის სისტემა არ იქნება ფართედ დაყენებული.

რომ ბოლომდე მივიყვანოთ ანგარიში სახელმწიფო ნუსხის ასრულებისა შემოსავლის ბალანსის მხრივ, საჭიროა შევეხოთ ყველაზე დიდ შემოსავალს, რომელიც ნაჩვენებია ხარჯთ აღრიცხვის მე-V განყოფილებაში, სახელდობრ „ხაზინის ქონება და თანხები“, რომლის ჯამი უდრის 574,2 მილ. მან. ეს დარგი ოთხ მუხლად არის დაყოფილი, რომელთა შორის ორი, მოსალოდნელ შემოსავლის მხრივ, მნიშვნელოვანია: საიჯარო მუხლები და სარეწავები (§ 22 ხარჯთ აღრიცხვის შემოსავლის ბალანსი) აღრიცხულია 312 მილ. მან. და ხაზინის რკინის გზის შემოსავალი (§ 24 იქვე) უდრის 231 მილ. მან. § 22 ასრულების შესახებ ჯერ ჯერობით ვერაფერი ითქმის, რადგან საკმარისი ცნობები არ მოიპოვება რაც შეეხება ხაზინის რკინის გზას, მისი სახარჯაღრიცხო ასრულება ისეთივე კარგ მდგომარეობაშია, როგორიც აღნიშნული იყო წინედ სახელმწიფო ნუსხის სამი დარგის შესახებ.

მიმდინარე საანგარიშო წლის ხუთი თვის განმავლობაში ხაზინის რკინის გზის შემოსავალი ასეთი იყო: 1919 წ

| | |
|---|---|
| ივნის | 16,073.761 მან. |
| ივლისი | 50.371.861 „ |
| აგვისტო | 40.859.379 „ |
| სექტემბერი | 32.114.883 „ |
| ოქტომბერი | 30.525 734 „ |
| 5 თვის ჯამი | 169.945.618 მან. |

შემოსავლის თვალსაჩინო გადიდება ივლისსა და აგვისტოში აიხსნება იმით, რომ აქ შეტანილია ჯამი წინად მიღებულ თანხისა სამხედრო და ინგლისის ტვირთის გადასატანში.

საშუალოდ თვიური სარკინიგზო შემოსავალი უდრის 33.989.123 მან., ხარჯ აღრიცხვით კი მოსალოდნელი იყო 19.250.000 მან., მაშასადამე თვიური ზედმეტი საშუალოდ უდრის 14.739.123 მან., მიმდინარე საანგარიშო წლის 5 თვის განმავლობაში ზედმეტი შემოსავალი, შედარებით ხარჯაღრიცხვის მოლოდინთან, შეადგენს 73.695 618 მან.

ზემო რომ მოყვანილი მიმოხილვა სახელმწიფო ნუსხის შესრულებისა შემოსავლის ბალანსის მხრივ უფრო საყურადღებო და მსხვილ დარგთა შესახებ, თუმცა არ წარმოადგენს დასრულებულ სურათს სრულ სტატისტიკურ ცნობების უქონლობის გამო, მაგრამ იძლევა დასარწმუნებელ საბუთს, რომ უფრო საყურადღებო და პასუხსაგებ მუხლების ნამდვილი შემოსავალი აჭარბებს ხარჯაღრიცხვის მოლოდინს. ეს ფაქტი თავის თავად ფრიად საყურადღებოა, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ, რადგან გარდა ნუსხაში შეტანილ ხარჯებისა ამ ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა იმისთანა ხარჯებს, რომელთა დაფარვა შემოსავლის ზედმეტით არც ისე ადვილია და 1919/20 წლ. ხარჯაღრიცხვა შესაძლებელია დასრულდეს დეფიციტით.

**ეკონომისტი.**

## პირადი გადასახადები

**წერილი პირველი.**

(დასასრული*)

შევჩერდეთ პირდაპირ გადასახადებზედ მთელი რიგი არსებული პირდაპირ გადასახადებისა შესდგება, ეგრედ წოდებულ, რეალურ გადასახადებისაგან: მიწის, სასარეწაო, ქალაქის უძრავ ქონებათა, ფულის თანხების და პირადი გადასახ. დისაგან—შემოსავლის ქვალობაზედ და მემკვიდრეობაზედ.

განსაკუთრებული დამახასიათებელი ბუნება და თვისება რეალური გადასახადებისა იმაში გამოიხატება, რომ ისინი არ შენდებიან წმინდა შემოსავალზედ და უმთავრესად ამ გადასახადების გამონგარიშების დროს უხდებათ მიღება მხედველობაში საშუალო ნორმალური შემოსავალისა. ერთგვარ გამონაკლისს აქედან შეადგენს სასარეწაო გადასახადი, რომელმაც შეითვისა ელემენტები შემოსავლის მიხედვით დაბეგვრისა. რაც შეეხება მაგალითად სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა, რომელნიც აქვეყნებენ საჯაროდ თავის ანგარიშებს, აქ შემოსავლის პრინციპი ბოლომდის არის გატარებული და ეს დარგი გადასახადისა ცოტაოდენ შესწორებას თუ მოითხოვს. ხსენებული დაწესებულებანი ყოველ წლიურად და სისტემატიურად უდგენენ ვრცელ ანგარიშებს სათანადო ფინანსიურ ორგანოს. უკანასკნელი დაწვრილებით ეცნობა ამ ანგარიშს; ნება აქვს და ვალდებულიცაა მოითხოვოს დამატებითი საჭირო საბუთები და განმარტება და გარემოების მიხედვით, ორიგინალები სავაჭრო წიგნებისა.

სულ სხვა ნაირად არის მოწყობილი კერძო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სასარეწაო გადასახადის გამონგარიშება. ჯერ ერთი, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ სრულებით არ წარმოადგინონ სავაჭრო წიგნები და მოითხოვონ დაბეგვრა საშუალო ნორმალური პროცენტის მიხედვით. მეორე, დიდი ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას რომ, როდესაც ხსენებული დაწესებულება ადგენს სავაჭრო წიგნებს, ფისკს სრული გარანტია არა აქვს, რომ ეს წიგნები სინამდვილესთან სწორია.

სულ სხვა პირობებში, იმყოფებიან სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი რომელნიც საჯაროდ აქვეყნებენ თავიანთ ანგარიშებს. უწინარეს ყოვლისა ისინი იმყოფებიან აქციონერთა საზოგადო კრების, სარევიზიო კომისიის და ფინანსთა სამინისტროს კანტროლის ქვეშ და კიდევაც რომ მოინდომონ განზრახ რაიმე შემოსავლის დამალვა, ეს თითქმის მოუხერხებელია; მეორე—ვალდებული არიან პირველ მოთხოვნისთანავე წარმოადგინონ ყოველივე ვრცელი ცნობები და ოლქუარი საბუთები. კერძო სავაჭრო დაწესებულება კი, როდესაც მისთვის ხელსაყრელია, წარმოადგენს საჭაჭრო წიგნებს და როდესაც არა,—უარს განაცხადებს, თუ გინდა აშკარა იყოს რომ ასეთ წიგნებს დაწესებულება აწარმოებდეს.

ასეთი პრივილეგია კერძო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა— დამატებითი სასარეწაო გადასახადის გაწერის დროს—მომავალისთვის სრულიად უნდა მოისპოს.

არსებული წესი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ძირითადი სასარეწაო გადასახადით დაბეგვრისა სრულიად უნდა შეიცვალოს. ვაჭრობა-მრეწველობა უნდა იბეგრებოდეს მხოლოდ საერთო მოგების მიხედვით და არა-სასარეწაო მოწმობების აღებით, რომლებიც აშენებულია მეტად ზერელე და გარეგან ნიშნებზე. ამით სასარეწაო გადასახადის დაბეგვრაში შეტანილი იქნება სრული ელემენტები შემოსავლის რაოდენობისა. ამ რეფორმის აუცილებლობას მოითხოვს სახელმწიფო ხაზინის ინტერესები და მეორე მხრით იგი შეიტანს დაბეგვრის საქმეში სრულ თანასწორობის პრინციპს. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს-დღეობით ჩვენ ვერ შევძლებთ ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. ვაჭრობამ დაჰკარგა თავისი ნამდვილი სახე და ბინადრობა, იგი გამოვიდა ქუჩაში და, საიდუმლოთ თუ აშკარად, პიოდაპირ ჟამსგავსი მევახშეობას იძლევა. მილიონებს იგებენ ჩვენ თვალწინ, მაგრამ ეს ახალი ფორმაციის „ვაჭრები“ შეუმჩნეველი რჩებიან. სამწუხაროდ, ამ საქმეში არც სახელმწიფო და არც საზოგადო დაწესებულებანი ფისკს არ ეხმარებიან, ასე რომ ვაჭრობა-მრეწველობის რეგისტრაცია შეუძლებელი გახდა. ამასთანავე ფეხზედ ვაჭრობის დაბეგვრა დღეს მხოლოდ ძირითადი სასარეწაო გადასახადით შეიძლება, რადგანაც სხვა და სხვა „ვაჭარნი“ და შუამავალნი უეცრად გვევლინებიან და ელვასავით ჰქრებიან.

გარდა ამისა, ძირითადი სასარეწაო გადასახადის სისტემის შეცვლას წინ უნდა უძღოდეს დაწვრილებით და დაბეჯითებით შესწავლა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა წლიური თანხების ბრუნვისა და მოგებისა; ამისთვის საჭიროა ცხლავე კანონმდებლობითი ძალით ვაიძულოთ შეძლებული ვაჭარ-მრეწველთა ნაწილი, რომ მათ შემოიღონ სავაჭრო წიგნები.

რეალური გადასახადის აღნიშნულ დამახასიათებელ ბუნებას, როდესაც ობიექტის და დაბეგვრის დროს ეს გადასახადი მხედველობაში იღებს არა ნამდვილ შემოსავალს, არამედ საშუალო ნორმალურს, ემატება კიდევ 1 უარყოფითი თვისება: მას არა აქვს პირდაპირი კავშირი პიროვნებასთან, არამედ ნივთთან (res)—დაბეგვრის საგანთან. ამ თვისებით განსაკუთრებით ხასიათდება **გადასახადი მიწაზე.** ამ გადასახადის რაოდენობა სისწორით არასოდეს არ იხატება ნამდვილ მიწის შემოსავლის მოძრაობაში; ამა თუ იმ მიწას აწერენ გადასახადს იმიტომ კი არა რომ მან ფაქტიურად შემოიტანა ესა თუ ის შემოსავალი, არამედ იმიტომ, რომ მას შეუძლია შემოიტანოს შემოსავალი. კანონი პირდაპირ ამბობს: უნდა დაიბეგროს გადასახადით შემოსავლიანი მიწა, რომელსაც შემოაქვს **ან არ შემოაქვს შემოსავალი.**

გარდა აღნიშნულ დიდი ნაკლისა, მიწის გადასახადის გაწერის საქმე ხასიათდება ჩვენში კიდევ ერთი დიდი უარყოფითი გარემოებით: ჩვენ არ მოგვეპოება სრულებით მიწის კადასტრი. ამ მხრით მთელი ამიერ-კავკასია უხუცეშო მდგომარეობაშია ხოლო, განსაკუთრებით—ყოფილი თბილისის და ქუთაისის გუბერნიები. ჩვენ არამც-თუ გვაქვს უდაო ცნობები სხვა და სხვა მიწების კატეგორიის რაოდენობაზე, როგორც მაგალითად: ვენახი, ბაღი, სახნავ-სათესი, ტყე, საბალახო და სხვა, რასაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს გადასახადის გამონგარიშების დროს, არ გვაქვს ნამდვილი ცნობები საერთო რაოდენობაზედაც ამ თუ იმ მაზრაში, საზოგადოებაში და სოფელში. ეს აშკარად დამტკიცდა 20 დეკემბრის 1912 წლ. კანონის ცხოვრებაში გატარების დროს, როდესაც საჭირო გახდა დროებით ვალდებულ გლეხების ხვედრი მიწის გამონგარიშება და დაფასება, და კიდევ უფრო ნათლჰყო ეს გარემოება 7 მარტის, 1919 წ. აგრარულ კანონის ცხოვრებაში გატარებამ. დღემდის ნამდვილად არავინ იცის რაოდენობა სახელმწიფო ფონდში გადასულ მიწებისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება; ამაში თანასწორად დაინტერესებული არიან როგორც სახელმწიფო აგრეთვე ადგილობრივი კავშირები, სრულიად შეუწყნარებელია რომ ძველი, პირდაპირ აზიური წესით იწერებოდეს მიწის გადასახადები მთელ მაზრებზე, თემებზე და ცალკე სოფლებზე. სახელმწიფოს ფინანსიური ინტერესი მოითხოვს, რომ ფისკი დაუახლოვდეს ყოველ გადასახადის ობიექტს და ერთის მხრით, მიწის და მისი ფაქტიური საერთო შემოსავალი და, მეორე მხრით, გადასახადის რაოდენობა შეუკავშიროს ურთმანეთს. მაგრამ დღეს დღეობით ეს შეუძლებელია, სანამ ჩვენ ხელთ არ გვექნება კარგად დამუშავებული კადასტრი ყოველგვარ მიწის კატეგორიის რაოდენობისა და შემოსავლისა. ამნაირად დამუშავებული კადასტრი გააუმჯობესებს არა მარტო მიწის გადასახადის სისწორით გაწერის საქმეს, არამედ სრულიად შესცვლის შემოსავლის ქვალობის გადასახადის საქმეს და სარჩულად დაედება სხვა ახალ პირდაპირ გადასახადის ობიექტებს, როგორც მაგალითად შენამატ ღირებულების გადასახადი. (налог на прирост цѣнности) და სხვა.

მაგრამ ჩვენ ეხლავე საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ეს საქმე მეტად ძნელი და რთული და დიდ მოსაზრებას და ენერგიას თხოულობს. მოგეხსენებათ, რომ მიწაზე გადასახადების განაწილების საქმე რუსეთში ერობებს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ კადასტრის საქმე იქაც შესაფერ დონეზე ვერ იდგა. 1916 წ. ერთმა უნიჭიერესმა ფინანსისტმა-პრაქტიკმა რუსმა განაცხადა, რომ ოცი წლის განმავლობაში ერობებმა დახარჯეს ოცი მილიონი სახაზინო ფული, მაგრამ კადასტრის საქმე მაინც ვერ მოეწყოთ. ჩვენში კი ეს საქმე სრულებითაც არ დაწყებულა. ამიტომ საჭიროა დღესვე შემუშავებულ იქნეს ვრცელი გეგმა კადასტრის გამომუშავებისა. ჩემი ღრმა რწმენით აქ საჭიროა შეთანხმებული მუშაობა მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობათა; უკანასკნელნი მარტო ამ დიდი და რთული საქმის შესრულებას ვერ შესძლებენ, რადგანაც მათ არავითარი გამოცდილება არა აქვთ ამ მუშაობის დარგში. გარდა ამისა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში რომ რაც უნდა სისწრაფით, სიბეჯითით და ენერგიით ვაწარმოოთ ეს საქმე, მაინც საჭიროა არა ნაკლებ ერთი ათეული წლისწადისა.

**გადასახადი ქალაქის უძრავ ქონებაზე** დიდ შესწორებას არ მოითხოვს. რეფორმა ამ გადასახადის 6 ივნისის 1910 წლ. კანონის ძალით ფაქტიურად გატარდა ცხოვრებაში 1912 წელში და იგი აშენებულია ქონების შემოსავალზე და იშვიათ შემთხვევაში უძრავ ქონების ფასზე. საჭიროა მხოლოდ ამ წესით დაიბეგროს უძრავი ქონება ახლად დაარსებულ ქალაქებისა და აგრეთვე საგარაკო და სხვა ადგილების შენობები, რომელთაც აქვთ საერთო ხასიათი ქალაქის უძრავ-ქონებათა.

დაბოლოს, რაც შეეხება **გადასახადს ფულის თანხებიდან მიღებულ შემოსავალზე,** საჭიროა აღინიშნოს, რომ დღეს ეს გადასახადი ედება მხოლოდ სარგებელს იმ ვალებისას რომლებიც უზრუნველ ყოფილია უძრავ ქონებით, სხვა სარგებლის რაოდენობა კი ფისკამდის ვერ აღწევს. ამიტომ საჭიროა ეს გადასახადი გავრცელდეს ყოველ ჯვარ ფულის თანხეიდან მიღებულ სარგებელზედ, რისთვისაც უნდა დაევალოს ყველა საკრედიტო დაწესებულებებს და ნატარიუსებს, დაჯარიმების მუქარით, მიაწოდონ სათანადო ფინანსიურ დაწესებულებას ცნობები ყველა განაღდებულ თამასუქებზე; მეორე მხრით საჭიროა თვით ამ გადასახადის გამონგარიშებაში შევიტანოთ პროგრესიის პრინციპი.

ამ ნაირად, მიუხედავათ ზევით აღნიშნულ ნაკლისა, რეალური გადასახადები ჯერ მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობენ ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტში. წასული წლის მიხედვით მთელი რაოდენობა ამ დარგის გადასახადებისა დაახლოვებით შეადგენს 125 მილ მან. საჭიროა მხოლოდ ამ გადასახადებში შევიტანოთ რადიკალური რეფორმები, ახალი მეთოდი და კონსტრუქცია; უნდა გადაკეთდეს დაძველებული გადასახადის ფორმები დღევანდელ დროის მიხედვით. უმთავრესი მიზანი რეალური გადასახადის მოდერნიზაციის დროს უნდა იქნეს— მათი შესამჩნევად გადიდება და მათში შესაძლებელ თანასწორობის პრინციპის შეტანა. მაგალითად სრულიად შეუწყნარებელია და უს მართლოც არის, რომ სოფლის მიწების საშვალო შემოსავლიდან ავიღოთ დღეს 3 პროც. გადასახადი იმ დროს, როდესაც ქალაქის უძრავ ქონებაზე ეს პროცენტი ადის 20 დას. თუ წინათ შეიძლებოდა ლაპარაკი, რომ ობიექტიურ მიზეზების გამო სოფლის მეურნეობას არ შემოაქვს შესაფერი შემოსავალი და მოგება, დღეს ამაზედ ლაპარაკიც მეტია. ჩვენ ვიცით, რა საშინელი ფასები აქვს სოფლის მეურნეობას ყოველ ნაწარმოებს და ნაყოფს, ამიტომ თავის თავად ცხადია, რომ დღეს სოფლის მამულის დაბეგვრა ვერ არის დაყენებული შესაფერ ნიადაგზედ.

ბ. ვ—ძე

(დასასრული იქნება)

*) იხ. „საქართველო“ 12 თებერვ.